

ველური მცენარეების
კრეფა-შეგროვების
პრაქტიკული გზამკვლევი

საქართველო, 2025

გზამკვლევის შესახებ

წინამდებარე გზამკვლევი მოიცავს მარტივ, პრაქტიკულ და სასარგებლო რეკომენდაციებს მათთვის, ვინც კრეფს და აგროვებს ველურ მცენარეებს. აღნიშნული გზამკვლევის გამოყენებით ველურ მცენარეთა კრეფა-შეგროვების პროცესი უფრო ხარისხიანად და ეფექტურად წარიმართება, ხოლო ბუნებაზე ნებატიური ზემოქმედება მაქსიმალურად შემცირდება. გზამკვლევი ეფუძნება პრაქტიკულ, მოქნილ და გამოცდილებაზე დაფუძნებულ რჩევებს, როგორიცაა მცენარეთა კრეფა-შეგროვების სწორად დაგეგმვა, ჩანაწერების წარმოება და მცენარეთა ზრუნვა-პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომა, ველური მცენარეების ინდუსტრიის გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც მიზნად ისახავს ერთის მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ხოლო მეორეს მხრივ ჯანსაღი ეკოსისტემის შენარჩუნებას.

წინამდებარე გზამკვლევი შედგენილია საერთაშორისო დონეზე აღიარებული სანიმუშო პრაქტიკის სტანდარტებზე დაყრდნობით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ლიტერატურის ნუსხაში (გვ. 35).

აღნიშნული გზამკვლევის გამოყენებისას წყაროს მითითების რეკომენდებული ფორმა: კავკასიის აღიანსების პროგრამა 2 – *ALCP2*. (2025). ველური მცენარეების კრეფა-შეგროვების პრაქტიკული გზამკვლევი. თბილისი, საქართველო.

ტერმინთა ბანდარტებები

დოკუმენტის ეს ნაწილი შეიცავს მცენარეების შეგროვებასთან და მოვლასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინების ზუსტ განმარტებებს, გთავაზობთ მდგრადი და ეფექტური პრაქტიკისთვის აუცილებელი პრინციპებისა და ინსტრუმენტების სრულყოფილ და ამომწურავ ახსნა-განმარტებებს.

კრეფის მოქნილი განრიგის შედგენა: კრეფის დროის დაგეგმვა მცენარეების მდგომარეობისა და ამინდის გათვალისწინებით, უფრო მეტი და ხარისხიანი მოსავალის მისაღებად.

არომატული თვისებები: მცენარეების ნაწილების, მაგალითად, ყვავილებისა და ფოთლების სურნელი, რომელიც გამოიყენება სუნამოებსა და კულინარიულ კერძებში.

სუნთქვადი (ჰაერგამტარი) მასალები: მაგალითად, ბუნებრივი მასალისაგან დამზადებული კონტეინერები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰაერის ცირკულაციას, იცავენ ხარისხს და ამცირებენ გაფუჭების რისკს.

კლიმატგონივრული შეგროვება: კრეფის პრაქტიკის მორგება ამინდის ცვალებადობასა და კლიმატურ პირობებზე, მოსავლის ხარისხის შესანარჩუნებლად და გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად.

შეგროვებასთან დაკავშირებული შეზღუდვები: მცენარის ის მაქსიმალური პროცენტული რაოდენობა, რომლის კრეფა/შეგროვება შესაძლებელია ბუნებრივ გარემოში ისე, რომ არ გამოიწვიოს მის პოპულაციასა და ეკოსისტემაზე უარყოფითი გავლენა.

კომერციული ღირებულება: მცენარის ნაწილების ეკონომიკური ღირებულება, რაც განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ხარისხი და ბაზრის მოთხოვნა.

უწყვეტი სწავლა: სანიმუშო პრაქტიკების შესახებ ცოდნის გაღრმავება და გაზიარება, რაც მიზნად ისახავს ველურ მცენარეთა კრეფა-შეგროვების ტექნიკის დახვეწასა და პროცესის მდგრადობის გაუმჯობესებას.

კავასსერტი: კავკასიერტი ახორციელებს ორგანული პროდუქტების სერთიფიცირებას საქართველოში. აკრედიტირებულია საქართველოში წარმოშობილი და ევროკავშირში ექსპორტისათვის განკუთვნილი ორგანული პროდუქტების სერთიფიცირებისთვის.

კავასსერტის ორგანული პროდუქტების სტანდარტი: FairWild და CENN სახელმძღვანელოებზე დაფუძნებული სტანდარტები, რომლებიც ადგენენ შეზღუდვებს ველური მცენარეების შეგროვების შესახებ ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

დაავადებათა მართვა: სტრატეგიები მცენარეთა დაავადებების თავიდან ასაცილებლად და მათთან საბრძოლველად, რაც მოიცავს ხელსაწყოების სათანადო ჰიგიენას და დაავადებებისადმი ამტანი მცენარეთა ჯიშების შერჩევას.

მოსვენების ფაზა (დორმანტობა): პერიოდი, როდესაც მცენარე აქტიურად არ იზრდება, რაც ხშირად საუკეთესო დროა ფესვების ამოსაღებად, რათა უზრუნველყოს მათი მაღალი ხარისხი.

ეკოსისტემის ბალანსი: ეკოსისტემაში არსებული ბუნებრივი ბალანსი, როცა მცენარეთა და ცხოველთა პოპულაციები შენარჩუნებულია ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს ბუნებრივი პროცესებისა და ეკოლოგიური ფუნქციების უწყვეტობას.

ჯანსაღი ეკოსისტემა: ეკოსისტემის ზოგადი მდგომარეობა, მათ შორის მისი უნარი შეინარჩუნოს ბიომრავალფეროვნება და ეკოლოგიური პროცესები.

ეკოსისტემის დაცვა: პრაქტიკები, რომლებიც მიზნად ისახავს ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას ბუნებრივი რესურსების მოპოვების პროცესში.

FairWild-ის სტანდარტები: სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფს ველური ბუნებიდან რესურსების მდგრადად მოპოვებას და ხელს უწყობს გარემოსდაცვით ძალისხმევას. მათ შორისაა კონსერვაციის მხარდაჭერისა და დადებითი ზემოქმედების პრინციპები.

მართვის გეგმები: სტრატეგიები და წესები შემუშავებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბუნებრივი რესურსების მოპოვების პრაქტიკები შეესაბამებოდეს მდგრადობის სტრანდარტებს და მიღწეული იქნას კონსერვაციის მიზნები.

მინიმალური პროცენტული წილი, რომელიც უნდა დარჩეს შეუგროვებელი: მცენარეთა პოპულაციის ის პროცენტული რაოდენობა, რომელიც უნდა დარჩეს ხელუხლებელი, ჯანსაღი ეკოსისტემისა და ბუნებრივი რეგენერაციის უზრუნველსაყოფად.

ბუნებრივი რეგენერაცია: პროცესი, რომლის დროსაც ეკოსისტემა საკუთარი ძალებით აღდგება მცენარეებისა და ცხოველების ბუნებრივი ზრდითა და რეპროდუქციის გზით.

გადაჭარბებული შეგროვება: ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული ან არამდგრადი მოპოვება, რამაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ეკოსისტემის ბალანსსა და ხელი შეუშალოს ბუნებრივი რეგენერაციის პროცესს.

სეკატორი: ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება ფოთლებისა და ღეროების მოსაჭრელად, იდეალური საშუალებაა შერჩევითი

შეგროვებისთვის მცენარის ჯანმრთელობაზე მინიმალური ზემოქმედებით.

შერჩევითი შეგროვება: მცენარის მხოლოდ გარკვეული ნაწილების ამოღება/შეგროვება მისი ჯანმრთელობისა და ხარისხის შესანარჩუნებლად, რაც ხელს უწყობს მდგრადი შეგროვების პრაქტიკას.

მაკრატელი: ზოგადი დანიშნულების საჭრელი ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება მცენარის სხვადასხვა ნაწილის, როგორიცაა, ყვავილებისა და ფოთლების მოსაჭრელად.

რბილშიგთავსიანი კალათები: რბილი შიგთავსის მქონე კონტეინერები, რომლებიც გამოიყენება ნაყოფის დაზიანებისაგან დასაცავად შეგროვებისა და ტრანსპორტირების დროს.

მდგრადი შეგროვების პრაქტიკა: ბუნებრივი რესურსების შეგროვების წესი, რომელიც უზრუნველყოფს ეკოსისტემის შენარჩუნებას და რესურსების ხელმისაწვდომობას მომავალი თაობებისთვის.

იარაღების/ხელსაწყოების ჰიგიენა: შეგროვების დროს გამოყენებული ხელსაწყოების სუფთად შენახვის პრაქტიკა მცენარეთა შორის დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

იარაღები: შეგროვების დროს გამოყენებული იარაღები, მათ შორის სეკატორი, ბაღის სეკატორი, ხელის ნიჩაბი, ფარცხი და მაკრატელი.

შინაარსი

ტერმინთა განმარტებები	3
შინაარსი	7
შესავალი.....	8

თავი 1 /შეგროვების ზოგადი წესები	11
---	-----------

ნიადაგისა და კლიმატური პირობების გათვალისწინება.....	13
მართვა და აღჭურვილობა.....	15
გარემოზე ზრუნვა.....	16

თავი 2 /მცენარეთა სხვადასხვა ნაწილის შეგროვება და გამოყენება	18
---	-----------

მცენარის სხვადასხვა ნაწილის გამოყენების წესები.....	18
მცენარის სხვადასხვა ნაწილის შეგროვების წესები	20
შეგროვებასთან დაკავშირებული შეზღუდვები.....	24
დოკუმენტაცია.....	25


თავი 3 /სახლის პირობებში საშრობი ტექნიკა ველური
--

მცენარეებისთვის.....	27
მომზადება გაშრობამდე.....	27
ადგილის შერჩევა და გარემო გაშრობისთვის	27
გაშრობის ტექნიკა და მეთოდები.....	28
შენახვა და მართვა	29

დანართი 1: მცენარეთა კრეფის ჩანაწერების ნიმუში და მარტივი ფორმა	
შემგროვებლისთვის.....	31

დანართი 2: საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი ველური მცენარეების	
ქართული, ინგლისური და ლათინური დასახელებები.....	34
ბიბლიოგრაფია.....	35

შესავალი



საქართველოში ველური სამკურნალო და არომატული მცენარეები დიდი კულტურული, სამკურნალო და ეკონომიკური ღირებულებით გამოიჩინება. ისინი სოფლის ტრადიციებისა და ქვეყნის მრავალფეროვანი ეკოსისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. აღნიშნულ რესურსებზე მოთხოვნების ზრდასთან ერთად, განსაკუთრებით კი საექსპორტოდ, მათი მდგრადი მართვა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რათა უზრუნველყოფილი იქნას გრძელვადიანი ხელმისაწვდომობა და ბიომრავალფეროვნების დაცვა.

საქართველოს მთებიდან, ტყეებიდან და სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან შეგროვებული ველური მცენარეები მრავალი ოჯახისთვის დამატებითი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და ავსებს ისეთ ტრადიციულ საქმიანობას, როგორიცაა მესაქონლეობა, კარტოფილისა და მარცვლეულის

წარმოება. სექტორები, რომლებიც ამით მარაგდება, მათ შორის საკვები, ფარმაცევტიკა და კოსმეტიკა, სწრაფად ფართოვდება, რაც საბოლოო ჯამში ადგილობრივი ბიზნესებისა და სოფლად მცხოვრებთათვის ქმნის, როგორც შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს.

ეს მზარდი მოთხოვნა მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის, მათ შორის შეგროვების ლოკაციებზე მცენარეთა პოპულაციების ეკოლოგიური მთლიანობის შენარჩუნების, ნარჩენების შემცირების, გადამუშავებისა და შენახვის პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით და იწვევს კრეფის პროცესში ჩართული პირებისთვის ცოდნის სამართლიანად გადაცემის აუცილებლობას. იმისათვის, რომ სოფლად მცხოვრებმა მოსახლეობამ შეინარჩუნოს ველური მცენარეებისაგან მიღებული ეკონომიკური სარგებელი, მნიშვნელოვანია, ბაზრის პოტენციალსა და გარემოს დაცვას შორის ბალანსის პოვნა და ისეთი მდგრადი კრეფის პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვას და ეკოსისტემების შენარჩუნებას.

წინამდებარე სახელმძღვანელო მოიცავს ველური მცენარეების გონივრული კრეფის შესახებ რეკომენდაციებს, რომლებიც ფოკუსირებულია მდგარდ შეგროვებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებზე, კლიმატთან ადაპტაციასა და სამართლებრივი მოთხოვნების დაცვაზე - ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და ველური მცენარეების გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობას. სახელმძღვანელო ასევე ითვალისწინებს შემგროვებლებისთვის ველური მცენარეების სახლში გაშრობის პრინციპებს, რაც მიზნად ისახავს ველური მცენარეების მნიშვნელობისა და მთლიანობის შენარჩუნებას, რათა

პროდუქტი იყოს ვარგისი, როგორც პირადი მოხმარებისთვის, ასევე კომერციული ინტერესისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი პრინციპები, რომლებიც წინამდებარე სახელმძღვანელოს უდევს საფუძვლად.

ძირითადი პრინციპები ¹
მცენარეები უნდა იკრიფებოდეს ისე, რომ მათი პოპულაცია მომავალშიც შენარჩუნებული იყოს. აუცილებელია სახეობების სწორად იდენტიფიცირება და მათი კონსერვაციის სტატუსის პატივისცემა. კრეფის ადგილები უნდა იყოს სამართლებრივად დაცული და მდგრადად მართვადი.
საჭიროა ეკოლოგიური ზიანის თავიდან აცილება და ბიომრავალფეროვნების მხარდაჭერა. რეგულარულად უნდა შეფასდეს შეგროვების ხარისხის გავლენა ჰაბიტატებზე და ისეთი პრაქტიკის გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს ეკოსისტემის ბალანსის შენარჩუნებას.
მცენარეების შეგროვება ისეთი ტემპით უნდა მოხდეს, რაც მცენარეთა პოპულაციებს ბუნებრივი რეგენერაციის საშუალებას მისცემს. საჭიროა სახოებების კონსერვაციის სტატუსის მონიტორინგი და ისეთი პრაქტიკების მორგება, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ გრძელვადიან ხელმისაწვდომობას.
მნიშვნელოვანია არასამიზნე სახეობებისა და მგრძნობიარე ეკოსისტემების დაზიანების თავიდან აცილება. საჭიროა დაინერგოს შეგროვების ისეთი ტექნიკა, რომელიც დაიცავს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემის მდგრადობას.


¹ შეგროვებული სახეობების კონსერვაცია (FairWild-ის სტანდარტი); გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაცია (FairWild-ის სტანდარტი); მდგრადი რესურსების მართვა (ISSC-MAP-ის სტანდარტი); ეკოსისტემისა და ჰაბიტატების დაცვა (ISSC-MAP-ის სტანდარტი)

თავი 1 | შეგროვების ზოგადი წესები

მდგრადი და მაღალი ხარისხის შეგროვებისათვის მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი ფაქტორებია ჯანმრთელი მცენარეთა პოპულაციების მქონე ადგილების შერჩევა, ზედმეტი შეგროვების თავიდან აცილება და სხვადასხვა ეფექტური ტექნიკის გამოყენება გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია მცენარეთა სწორი მართვა და შეფუთვა რათა შენარჩუნდეს მათი ხარისხი და სარგებლიანობა სეზონური და სიმწიფის პერიოდის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას შეგროვებისთვის საჭირო ოპტიმალური დრო. ქვემოთ წარმოდგენილია შეგროვების ზოგადი წესები.

ადგილის შერჩევა

მდგრადობის უზრუნველსაყოფად პრიორიტეტი მიანიჭეთ ჯანსაღი და უხვი პოპულაციების მქონე ადგილებს. შეგროვება



ისეთი ადგილებიდან, სადაც მცენარეთა პოპულაციები უხვი, ძლიერი და ჯანსაღია, ხელს უწყობს მათი ჯანმრთელობისა და პროდუქტიულობის შენარჩუნებას, გრძელვადიან მდგრადობას, კიდევ უფრო მდგრად შეგროვებას და ამცირებს კონკრეტულ ტერიტორიებზე რესურსების ამოწურვის რისკს.

თავიდან აიცილეთ გადაჭარბებული შეგროვება და შეაგროვეთ მხოლოდ დასაშვები პროცენტული რაოდენობა.

მცენარეების სიცოცხლისუნარიანი ნაწილების ხელშეუხებლად დატოვებით, თქვენ ხელს შეუწყობთ ეკოსისტემის ბალანსის შენარჩუნებასა და მცენარეთა ბუნებრივ ხელახალ ზრდას. ეს დაეხმარება ეკოლოგიური ბალანსის დაცვასა და ბუნებრივ რეგენერაციას (იხ. გვ. 12 დასაშვები რაოდენობების პროცენტული მაჩვენებლები).

ბილიკის შერჩევა და შესვლა/გასვლა

შეარჩიეთ ერთი კონკრეტული ბილიკი შეგროვების არეალში შესასვლელად და გამოსასვლელად. ერთი კონკრეტული ბილიკის გამოყენება მინიმუმამდე ამცირებს მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული მცენარეების ვეგეტაციის პროცესის შეფერხებასა და ნიადაგის ეროზიას.

დაიწყეთ შეგროვება ფერდობის ძირიდან. ფერდობის ძირიდან შეგროვების დაწყება ხელს უწყობს ნიადაგის ეროზის პრევენციასა და ამცირებს მცენარეთა დაზიანების რისკს.

შეგროვების ტექნიკა

შეაგროვეთ ჯანსაღი და მაღალი ხარისხის მცენარეები. ყურა-დღება გაამახვილეთ მხოლოდ საუკეთესო ნიმუშებზე, რადგანაც ჯანსაღი და ხარისხიანი მცენარეები ნაკლებად არიან მიღრეკილები დაავადებებისკენ, ეს მაქსი-




მალურად ზრდის კომერციულ ღირებულებას, ასევე საერთო ღირებულებასა და აძლიერებს შეგროვების ეფექტურობას.

გამოიყენეთ ეფექტური, ნაკლებად მავნე მეთოდები მცენარეთა სტრესის შესამცირებლად და მათი ხელახალი ზრდის ხელშესაწყობად.

სათუთი მეთოდების გამოყენება ამცირებს მცენარეთა დაზიანების რისკს და ხელს უწყობს მათი განახლების უნარს. მაგალითად, გამოიყენეთ ბასრი იარაღები მცენარის ნაწილის მოჭრის დროს, რაც თავიდან აგაცილებთ მცენარის არასასურველ დაზიანებას.

დაიწყეთ შეგროვება მცენარის გარე ფენებიდან და თანდათანობით გადადით შიდა ნაწილებზე. გარედან შიგნით მიმართულებით შეგროვება ხელს უწყობს მცენარის სტრუქტურის შენარჩუნებას და ეხმარება მათ უწყვეტ ზრდაში.

ნიადაგისა და კლიმატური პირობების გათვალისწინება



მოერიდეთ ნიადაგის დატკეპნას შეგროვების დროს. მცენარის გარშემო ფრთხილად გადაადიგლება ხელს უწყობს მცენარის ნიადაგის სტრუქტურის დაცვას, რაც განაპირობებს ჯანსაღი ფესვთა სისტემის განვითარებასა და მცენარეათა ზრდას.

მცენარეთა ნაწილები არ შეაგროვოთ სველ პირობებში. სველი ნიადაგი უფრო მარტივად იტკეპნება და ზიანდება, სველი მცენარე

კი უფრო მიდრეკილია დაზიანებისა და დაავადების გავრცელებისკენ, რაც ამცირებს შეგროვების ხარისხს და ზიანს აყენებს ნიადაგის ხანგრძლივ ჯანმრთელობას.

ატარეთ შესაბამისი ტანისამოსი სხვადასხვა ამინდის პირობების შესაბამისად. მაგალითად, ჩაიცვით მყარი, ამინდის შესაფერისი ტანისაცმელი, ისეთი როგორიცაა წყალგაუმტარი ჩექმები სველ ამინდში და გამოიყენეთ ჰაერგამტარი (სუნთქვადი) ქსოვილი ცხელ ამინდში რათა თავიდან იქნას აცილებული რაიმე ტიპის დისკომფორტი და ჯანმრთელობის ისეთი რიკსები, როგორიცაა, ჰიპოთერმია ან გადახურება. შესანიშნავი რეკომენდაციაა მზის სათვალეები და ქუდი მზის სხივების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მთიანი ადგილებისთვის. ხელთათმანები კი დაიცავს ხელებს ეკლებისაგან, მწერებისა და გამაღიზიანებელი მცენარეებისგან.

ექსტრემალური კლიმატური პირობების თავიდან ასაცილებლად ყურადღება მიაქციეთ ამინდის პირობებს და ამის შესაბამისად შეიმუშავეთ მცენარეების ნაწილების შეგროვების განრიგი. ამით დაიცავთ მცენარეებს და შეგროვებულ მასალას და უზრუნველყოფთ უკეთესს ხარისხსა და მაღალ ეფექტიანობას.


ველური მცენარეების კრეფა/შეგროვების დაგეგმვისას გაითავლისწინეთ მცენარეთა რეაქცია კლიმატური სტრესის გამომწვევ ფაქტორებზე. მაგალითად, ძალიან ცხელ დღეს, შუადღისას მცენარეთა შეგროვება ნიშნავს ხარისხისა და მოსავლის შემცირებას, მაშინ როდესაც დილით ადრიანად შეგროვება ამცირებს სიცხის ზემოქმედებას შეგროვებასა და მცენარეებზე.

მართვა და აღჭურვილობა

ფრთხილად გაწმინდეთ და დაამუშავეთ ხელსაწყოები. აუცილებელია მათი დეზინფექცია გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ პათოგენების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. გააკეთეთ ზუსტი ჭრა ბასრი, სუფთა იარაღით. ამით მცირდება დაავადებათა გავრცელების რისკი და მინიმალური ხდება მცენარეების არასასურველი დაზიანება, რაც ხელს უწყობს მცენარეთა ჯანმრთელობას შეგროვების პერიოდში.

შეგროვებული მცენარეული მასალა არ უნდა შეეხოს მიწას. მცენარეული მასალის მიწიდან მოშორებით შენახვა ახდენს დაბინძურების პრევენციას და ხელს უწყობს მათი ხარისხის შენარჩუნებას.

მოერიდეთ პოლიეთილენის ცელოფნებისა და პლასტმასის კონტეინერების გამოყენებას, რადგან ისინი ხელს უწყობენ სითბოსა და ტენიანობის დაგროვებას და მცენარეების გაფუჭებას იწვევენ.




მოერიდეთ შეგროვებული მცენარეების ზედმეტად დატკეპნას ან ზეწოლას. ეს ხელს შეუწყობს მათი დაზიანების თავიდან აცილებას და ხარისხის შენარჩუნებას, რაც, თავის მხრივ, იცავს მცენარეს ფერის შეცვლისა და ძირითადი თვისებების დაკარგვისგან.

შესაფუთად გამოიყენეთ ჰაერგამტარი, ბუნებრივი მასალები. ჰაერგამტარი ბუნებრივი მასალების გამოყენება ხელს უწყობს ჰაერის თავისუფალ მოძრაობას, რაც იცავს მცენარეებს

დახუთვისგან, ინარჩუნებს მათ ბუნებრივ თვისებებს და ამცირებს გაფუჭების ალბათობას.

დაავადებული მასალის სწორად განადგურება. ჯანმრთელი მცენარეების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად დაავადებული მცენარეები დაუყოვნებლივ გატანილ უნდა იქნას და უსაფრთხოდ განადგურდეს კრეფის ადგილიდან მოშორებით,

გარემოზე ზრუნვა



გრძელვადიანი ჯანმრთელობის დაცვას.

ადგილობრივი კონსერვაციის მხარდაჭერა და ბუნებრივი გარემოს აღდგენა. აქტიურად მიიღეთ მონაწილეობა და მხარი დაუჭირეთ ჰაბიტატების აღდგენას და სხვა ადგილობრივი კონსერვაციის ღონისძიებებს, როცა შესაძლებლობა მოგეცემათ. ამ პროცესში მონაწილეობა ეხმარება ბუნებრივი გარემოს დაცვასა და გაუმჯობესებას და საზოგადოებაში ეკოლოგიური ცნობიერების გაზრდას.

ეკოსისტემის მინიმალური დარღვევა. გარემოს გათვა- ლისწინება/ყურადღების მიქცევა და მიმდებარე მცენარეული საფარისა და ველური მცენარეების დაზიანებისგან თავის არიდება ხელს უწყობს ადგილობრივი ეკოსისტემის, ბიომრავალფეროვნებისა და შეგროვების არეალის

ადაპტაცია კლიმატურ ცვლილებებთან. იყავით ინფორმირებულები კლიმატური ცვლილებების გავლენაზე და გამოიყენეთ კლიმატგონივრული პრაქტიკა მცენარეთა კრეფის პროცესში. რაც ითვალისწინებს კრეფის დროის გადახედვას, კლიმატურ ცვლილებებთან გამკლავების უნარის მქონე მცენარეთა სახეობების შერჩევას და გარემოზე ნებატიური ზემოქმედების შემცირებას, ცვალებად პირობებში მდგრადი შეგროვების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.

საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. გაუზიარეთ სხვა შემგროვებლებს ეთიკური ცოდნა, გამოცდილება და მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების დაცვასა და შენარჩუნებას. ეს აძლიერებს კოლექტიურ პასუხისმგებლობას და უწყობს ხელს ბუნებრივი რესურსების უკეთ მართვას.

თავი 2 | მცენარეთა სხვადასხვა ნაწილის შეგროვება და გამოყენება

აღნიშნულ ნაწილში აღწერილია მცენარის სხვადასხვა ნაწილების კრეფისა და გამოყენების წესები, და შეზღუდვები რომლებიც განსაზღვრავს შეგროვების დასაშვებ რაოდენობებს.

მცენარის სხვადასხვა ნაწილის გამოყენების წესები

მცენარის თითოეული ნაწილი, ფოთლიდან თესლამდე, კონკრეტულ ფუნქციას ასრულებს მედიცინაში, კულინარიაში, ესთეტიკისა და კეთილდღეობის სფეროებში.

 ყვავილი	ყვავილის გამოყენება ხდება არომატის, სილამაზისა და სამკურნალო თვისებების თვალსაზრისით. მას მოიხმარენ სუნამოებში, კოსმეტიკაში, კულინარიასა და ბალახოვან ნაყენებში სურნელის, ფერისა და თერაპიული ეფექტების გამო.

 ჯესვი	<p>ფესვი მნიშვნელოვანია სამკურნალო, კულინარიული და კვებითი ღირებულებების თვალსაზრისით. მას იყენებენ ტრადიციულ მედიცინაში, კულინარიასა და დანამატებში. თუ მისი შეგროვება მოხდება მოსვენების ფაზაში (როცა მცენარე აქტიურად არ იზრდება), ამ პერიოდში ის საუკეთესო ხარისხისაა.</p>
 ნაყოფი	<p>ნაყოფის შეგროვება ხდება მისი გემოს, კვებითი ღირებულებებისა და კულინარიაში გამოყენების მიზნით. ნაყოფი უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ვიტამინებს და ანტიოქსიდანტებს და საუკეთესოდ ითვლება, როცა სრულად დამწიფებულია, რადგან ამ პერიოდისთვის გემოსა და კვებითი ღირებულებების სრულად გამოვლენა ხდება.</p>
 თესლი	<p>თესლის შეგროვება ხდება სათესი, კვებითი ღირებულებების და მედიცინაში გამოყენების მიზნით. მწიფე მშრალი თესლი უზრუნველყოფს აღმოცენების მაღალ მაჩვენებელს და გამძლე ჩითილებს. თესლი, ასევე, გამოიყენება კულინარიასა და სამკურნალო სამუალებებში.</p>

მცენარის სხვადასხვა ნაწილის შეგროვების წესები

მცენარის თითოეულ ნაწილზე მორგებული შესაბამისი იარაღებისა და ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელია ზიანის შემცირება და მდგრადი შეგროვების პრაქტიკის მხარდაჭერა. ქვემოთ აღწერილია ფოთლების, ყვავილების, ფესვების, რიზომების, ტუბერების, ბოლქვების, ნაყოფების, თესლების, ყლორტების, ღივებისა და ღეროების კრეფის სპეციფიკური წესები.

ფოთლები

 კრეფა უნდა მოხდეს ფოთლების კონკრეტული ნაწილის შერჩევით, რათა მცენარის ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს. მცენარის მთლიანად გაკრეფა არ არის რეკომენდებული, რათა ხელი არ შეეშალოს მის უწყვეტ ზრდას ფოთლების გადაჭარბებული რაოდენობით კრეფის შედეგად.

 სეკატორი და/ან მაკრატელი - მოჭრა უნდა მოხდეს სუფთად, რათა მცენარე არ დაზიანდეს და სწრაფად რეგენერაციის საშუალება მიეცეს.

ყვავილები

 კრეფა უნდა მოხდეს როცა ყვავილობა პიკს აღწევს საუკეთესო სურნელის, ფერისა და საბაზრო ღირებულების მისაღებად. მოერიდეთ იმ ყვავილების მოწყვეტას, რომლებიც გადაყვავებულია ან სრულად არ არის გამლილი.

 ბალის სეკატორი და/ან მაკრატელი - საჭიროა ზუსტი მოჭრა, რათა არ დაზიანდეს ყვავილები და ღეროები.

ფესვი

 კრეფა უნდა მოხდეს მცენარის მოსვენების ფაზაში მცენარისთვის სტრესისა და ზიანის მიყენების შესამცირებლად. ფრთხილად ამოთხარეთ მიწა ფესვების გარშემო, რათა თავიდან აიცილოთ მათი გაჭრა და დაზიანება.

 ხელის ნიჩაბი და/ან სათხრელი ჩანგალი - ნაზად აწიეთ ფესვები გარშემო არსებული ნიადაგის მინიმალური დაზიანებით, რადგან ნიადაგი იცავს ფესვებს მოჭრისა და დაზიანებისგან, რაც შესაბამისად ხელს უწყობს მათი ხარისხის შენარჩუნებას და ჯანსაღი მცენარის გაზრდას.

რიზომა

 შეაგროვეთ მწიფე რიზომები ისე, რომ მცენარის ნაწილი ხელშეუხებლად დარჩეს რეგენერაციის მიზნით. მდგრადობის უზრუნველსაყოფად არ უნდა მოხდეს დიდი რაოდენობით რიზომების კრეფა.

 ფარცხი და/ან ბასრი დანა - მიწა ნაზად გააფხვიერეთ და სუფთად მოჭერით, რათა არ მოხდეს მცენარის დაზიანება.

ტუბერი

 ტუბერები დაკრიფეთ მცენარის ზრდის ციკლის დასრულების შემდეგ, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი სრულად განვითარებულია. ფრთხილად მოეპყარით დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

 ხელის ნიჩაბი და/ან ფარცხი - ფრთხილად გამოიყენეთ ტუბერების დაზიანების გარეშე ამოსაღებად.

ბოლქვი

 ამოიღეთ მცენარე მოსვენების ფაზაში ყოფნის დროს, რათა დარწმუნდეთ, რომ ბოლქვი სრულად არის მომწიფებული. უნდა მოხდეს ბოლქვების გაშრობა შენახვამდე.

 ფარცხი და/ან ხელის ნიჩაბი - ბოლქვები ამოიღეთ ნაზად, რომ არ დაიშალოს ნაწილებად.

ნაყოფი

 ნაყოფი შეაგროვეთ სრულად დამწიფების შემდეგ გემოსა და კვებითი ღირებულებების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით. ნაზად მოეპყარით დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

 ხელები და რბილშიგთავსიანი კალათები - ხილი მოკრიფეთ და გადაიტანეთ ხელით დაზიანების თავიდან ასაცილებლად. ნაყოფის დაცვის მიზნით შეგროვებისა და ტრანსპორტირების დროს გამოიყენეთ კალათები.

თესლი

 შეაგროვეთ ჯანმრთელი მცენარეების მწიფე და მშრალი თესლები, რათა მოხდეს აღმოცენების მაღალი მაჩვენებლისა და დაავადების მიმართ რეზისტანტული ჩითილების უზრუნველყოფა. მწიფე თესლებს დასრულებული აქვთ განვითარება, ხოლო მშრალი თესლები ნაკლებად მიღრევილია სოკოვანი დაავადებებისა და ლპობისკენ, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი მცენარის გაზრდას.

 ხელები და მცირე ზომის კონტეინერები - თესლების ფრთხილად შერჩევა და შეგროვება ხელით

უზრუნველყოფს მხოლოდ საუკეთესოების შერჩევას. მცირე ზომის კონტეინერები გამოიყენება თესლების მოწესრიგებულად და მშრალად შენახვისთვის, რაც იცავს მათ დაზიანებისგან და უნარჩუნებს ხარისხს.

ყლორტი და ღივი



შეაგროვეთ ახალგაზრდა ყლორტები, სანამ გამაგრდება და გაუხეშდება. შეარჩიეთ ახალგაზრდა ყლორტები, არ უნდა მოხდეს დიდი რაოდენობით ყლორტების შეგროვება, რათა მცენარემ არ შეაჩეროს ზრდა.



ბასრი დანა და/ან მაკრატელი - უნდა მოხდეს ზუსტი მოჭრა ზრდის პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად.

ღერო



ღეროები შერჩევითად შეაგროვეთ, რათა მცენარეს ჰქონდეს რეგენერაციის საშუალება და არ მოხდეს ზედმეტი ნაწილების მოშორება. შეგროვება არ უნდა მოხდეს მცენარის აქტიური ყვავილობისა და ნაყოფობის დროს სტრესის თავიდან აცილების მიზნით.



სეკატორი და/ან ბასრი დანა - მოჭრა უნდა მოხდეს ძალიან ფრთხილად მცენარის ჯანსაღი მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

შეგროვებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

შეგროვებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული შეზღუდვები, ე.ი. რა რაოდენობის მცენარის ნაწილების შეგროვებაა შესაძლებელი მცენარისთვის ზიანის მიყენების გარეშე და მისი რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად, განსხვავდება და დამოკიდებულია მცენარეზე და მისი აღდგენის უნარის მაჩვენებლებზე. ქვემოთ მოცემულია მცენარის სხვადასხვა ნაწილის შეგროვების საერთაშორისო დონეზე აღიარებული შეზღუდვების ნორმები.

ფოთლები	შეაგროვეთ მხოლოდ 30-50% ერთ მცენარეზე/სეზონზე, რათა მცენარემ შეძლოს რეგენერაცია და გააგრძელოს ზრდა.
ყვავილები	შეაგროვეთ ყვავილების მხოლოდ 70% ერთ მცენარეზე, რათა ხელი შეუწყოთ დამტვერვას, ბიომრავალფეროვნებას და თესლის წარმოებას.
ფესვები და ბოლქვები	შეაგროვეთ მხოლოდ 20-30% , რათა არ მოხდეს მცენარის გამოფიტვა და ხელი შეეწყოს ხელახალ ზრდას.
ნაყოფები	შეაგროვეთ მხოლოდ 80% , დატოვეთ საკმარისად თესლის გავრცელებისა და ველური ბუნებისთვის, რაც უზრუნველყოფს მცენარის გამრავლებას.
თესლები	შეაგროვეთ მხოლოდ 80% ბუნებრივი გამრავლებისა და გენეტიკური მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად.

ყლორტები და ღივები	შეაგროვეთ მცენარის ბიომასის მხოლოდ 10-15% , რათა თავიდან აიცილოთ გადამეტებული მოჭრა და ხელი შეუწყოთ მის შემდგომ განვითარებას.
ღეროვები	მოჭრით მხოლოდ მაქსიმუმ 30% , იმისათვის, რომ მცენარის სტრუქტურა არ დაზიანდეს, ხელახლა გაიზარდოს და შემდგომ კვლავ მოხდეს მისი შეგროვება.

დოკუმენტაცია



შემგროვებლები ძირითადად ეყრდნობიან საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას და ზეპირსიტყვიერად გადაცემულ ცოდნას მცენარეთა პოპულაციებისა და სეზონური თავისებურებების შესახებ. შეგროვების შესახებ ჩანაწერების წარმოება საშუალებას იძლევა დროთა განმავლობაში

მოხდეს მცენარეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და დაიგეგმოს მომავალი შეგროვების პროცესები. მკაფიო და მარტივი ჩანაწერები უტყუარი საშუალებაა დროის განმავლობაში მცენარეთა პოპულაციების აღრიცხვისთვის და დიდი მოცულობის მონაცემთა შედარებისთვის.

ველური მცენარეების გადამამუშავებელ კომპანიებს შეუძლიათ მომწოდებლების მიერ წარმოებული ჩანაწერების ინტეგრირება

მოახდინონ საკუთარ ბიზნეს მოდელში. იმ შემთხვევაში, თუ შემგროვებლები მზად არიან მონაცემების შეგროვებისა და გაზიარებისთვის ორმხრივად სასარგებლო პარტნიორობის ფარგლებში, კომპანიებს გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება შეუძლიათ. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად არ მოხდება მცენარეთა გადამეტებული რაოდენობით კრეფა, შემცირდება ნარჩენები და შენარჩუნდება ველურ მცენარეთა პოპულაციები.

შემგროვებლებს, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ მომწოდებლებთან და აწარმოებენ შესყიდვებს, იდეალურად შეუძლიათ ზემოთ აღნიშნული მონაცემების სისტემატიზაცია. ველურ მცენარეთა კრეფის მონაცემების სისტემატიზაციით, კომპანიები შეძლებენ მხარი დაუჭირონ კრეფის პროცესის დაწესებული ლიმიტების შესაბამისად წარმართვას, გააძლიერონ მიწოდების ჯაჭვის მართვა და მონაცემები დააკავშირონ გაყიდვებსა და შესყიდვებთან, რაც ხელს შეუწყობს კრეფის მოცულობების უფრო ეფექტურ დაგეგმვასა და მათ ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.

დანართი 1 მოიცავს კრეფის მონაცემთა მარტივ ნიმუშს შემდეგი მიმართულებებით: კრეფის თარიღები, მცენარეთა სახეობები, კრეფის ადგილები, დაკრეფილი რაოდენობები, დაკვირვებები მცენარეთა ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ამინდზე.

ნიმუში შექმნილია ყოველდღიური გამოყენებისთვის, რაც ამარტივებს ჩანაწერების წარმოებას და ხელს უწყობს ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც თავის მხრივ, მდგრადი შეგროვების მხარდაჭერის წინაპირობაა.

თავი 3 | სახლის პირობებში საშრობი ტექნიკა ველური მცენარეებისთვის

ველური მცენარეების, სანელებლებისა და ბალახოვანი მცენარეების ხარისხის, კვებითი ღირებულებისა და აქტიური თვისებების შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია მათი შესაბამისად გაშრობა. გაშრობის რეკომენდებული პრაქტიკის დაცვა მნიშვნელოვნად ამცირებს გაფუჭების რისკს და უზრუნველყოფს მცენარეების სასარგებლო თვისებების შენარჩუნებას.

მომზადება გაშრობამდე

მოაშორეთ ჭუჭყი, დაზიანებული ნაწილები ან მწერები. საჭიროების შემთხვევაში მცენარეები ნაზად გარეცხეთ, ფრთხილად დაფერთხეთ ზედმეტი ტენის მოსაშორებლად.

გაშალეთ მცენარის ნაწილები ერთ ფენად, რათა გამოშრობა მოხდეს თანაბრად და შემცირდეს გაფუჭების რისკი. გაშრობისას მოერიდეთ მცენარეების ერთმანეთზე დალაგებას.

ადგილის შერჩევა და გარემო გაშრობისთვის



აირჩიეთ კარგად ვენტილირებადი ჩრდილიანი ადგილი, რომელიც დაცულია პირდაპირი მზის სხივისგან. პირდაპირ მზის სხივს შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ეთერზეთებს, ფერებს და კვებით თვისებებს. შეინარჩუნეთ თანმიმდევრული

ჰაერის ცირკულაცია ობის მოკიდებისა და გაფუჭების რისკის თავიდან აცილების მიზნით. სპეციალური საშრობი სტელაჟი ან დაკიდებული გაშრობის მეთოდი ხელს უწყობს ჰაერის ცირკულაციის გაუმჯობესებას.

მოერიდეთ მცენარეების გაშრობას ნოტიო ან ტენიან გარემოში, რადგან ზედმეტი ნესტი ანელებს გაშრობის პროცესს და ხელს უწყობს ობის წარმოქმნას.

გაშრობის ადგილებში შეინარჩუნეთ სისუფთავე, ასევე, გამოშრობის ადგილი დაიცავით დამაბინძურებელი ნივთიერებებისგან, როგორიცაა, მტვერი, კვამლი და მძაფრი სურნელი, რამაც შეიძლება შეცვალოს მცენარეთა ბუნებრივი თვისებები.

გაშრობის ტექნიკა და მეთოდები

ჰაერზე გაშრობა: რეკომენდებულია ფოთლოვანი ბალანსებისთვის, ყვავილებისა და მგრძნობიარე ველური მცენარეებისთვის. შეკარით პატარა კონებად და დაკიდეთ თავით ქვემოთ მშრალ, ჩრდილიან ადგილას.

ბადეზე გაშრობა: იდეალურია ხილისთვის, კენვროვანებისა და ფესვებისთვის. გაშალეთ მცენარეები თანმივდევრულად ბადეზე, რათა ჰაერი ყველა მხრიდან შესაბამისად ცირკულირებდეს.

დაბალ ტემპერატურაზე გაშრობა: ღუმელის ან დეჰიდრატორის გამოყენების დროს ტემპერატურა დააყენეთ 40°C ქვემოთ, რათა შენარჩუნდეს აქტიური ნაერთები და არ მოხდეს გადახურება.

ხანგრძლივობა და მონიტორინგი


გაშრობის დრო დამოკიდებულია მცენარის სახეობაზე, სისქეზე, ტენიანობასა და ჰაერის ცირკულაციაზე. ფოთლების, ყვავილებისა და სანელებლების გაშრობა შესაძლებელია 3-10 დღის განმავლობაში, მაშინ როდესაც ფესვებს და ნაყოფს გასაშრობად შეიძლება უფრო დიდი ხანი დაჭირდეთ.

დროდადრო გადატრიალეთ ან გადაალაგეთ მცენარეთა ნაწილები, რათა თანაბრად მოხდეს გაშრობა და თავიდან აიცილოთ ტენის დაგროვება, რაც ხარისხის გაუარესებას იწვევს.

მცენარეთა ნაწილები ითვლება გამომშრალად, როცა: ფოთლები ადვილად იფშვნება, ფესვები სუფთად ტყდება და ნაყოფი ტყავისებური, მაგრამ მაგარია.

შენახვა და მართვა

გამშრალი ველური მცენარეები შეინახეთ ჰაერგაუმტარ, გაუმჭვირვალე კონტეინერებში სინათლისგან, ნესტისა და პარაზიტებისგან დაცვის მიზნით.



შესანახად გამოიყენეთ უმეტესად შუშის კონტეინერები, ქაღალდის ან ჰაერგამტარი ქსოვილის ჩანთები, რადგან პლასტმასის/პოლიეთილენის კონტეინერებმა/ჩანთებმა შესაძლოა შეაკავოს ნარჩენი ნესტი, რაც მცენარის გაფუჭებას გამოიწვევს.

პლასტმასის/პოლიეთილენის კონტეინერების/ჩანთების
გამოყენება შეიძლება ხანგრძლივი შენახვისთვის, როცა მცენარე
სრულად მშრალია.

ყოველ პარტიას მიაწერეთ მცენარის სახელი და გამოშრობის
თარიღი, რათა აკონტროლოთ ვადები და ხარისხი დროთა
განმავლობაში.

შეინახეთ გრილ, ბნელ ადგილას სითბოსა და ტენიანობისგან
მოშორებულ ადგილას, რათა მაქსიმალურად გახანგრძლივდეს
შენახვის ვადა და შენარჩუნდეს მოქმედი ნივთიერებები.

გაშრობის აღნიშნული წესების დაცვით, მცენარეების კრეფით
დაკავებული სოფლის მოსახლეობა შეძლებს ველური მცენარეების
ხარისხისა და სასარგებლო თვისებების შენარჩუნებას და
ნარჩენების შემცირებას, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების
შესაძლებლობას როგორც პირადი მოხმარებისთვის, ასევე,
კომერციული მიზნებისთვის, და ხელს უწყობს შემოსავლების
ზრდას.

**დანართი 1 მცენარეთა პრეფის ჩანაწერების ნიმუში
და მარტივი ფორმა შემგროვებლისთვის**

მიმართულება	აღწერა	მაგალითი
ადგილ- მდებარეობა	კრეფის ადგილის ზუსტი აღწერა (მაგალითად, სოფლის სახელი, სპეციფიკური მინდორი, ახლომდებარე რიენტირი).	მდინარის ნაპირთან ახლოს სოფელ ჭობარეთში.
კრეფის თარიღი	კრეფის თარიღი (დღე/თვე/წელი).	15/04/2024
მცენარეთა სახეობები	დაკრეფილ მცენარეთა სახეობების საერთო და მეცნიერული დასახელება.	ჭინჭარი (<i>Urtica dioica</i>)
მცენარის რა ნაწილები დაიკრიფა	დაკრეფილ მცენარეთა ნაწილების დაკონკრეტება: ფოთლები, ყვავილები, ფესვები, ა.შ.;	ფოთლები, ყვავილები
დაკრეფილი მცენარის რაოდენობა	თითოეული ნაწილის რაოდენობა (წონით ან თვლით).	3 კგ ფოთლები, 500 გრ. ყვავილები
კრეფის მეთოდი	კრეფის მეთოდი (მაგალითად, ხელით კრეფა, მოჭრა).	ხელით კრეფა, მაკრატლით მოჭრა
მცენარეთა პოპულაციის მდგომარეობა	მცენარეთა პოპულაციის ზოგადი ჯანმრთელობა (გადამეტებული შეგროვების ან დაზიანების ნიშნები).	ჯანმრთელი, ქარიშხლისგან მსუბუქად დაზიანებული

რა ფართობზე დაიკრიფა	ფართობი, სადაც დაიკრიფა (კვ.მ ან ჰექტარი).	500 კვ.მ
კრეფის ინტენსივობა	შეაფასეთ მცენარეთა პოპულაციის რა ნაწილი (%) დაიკრიფა.	ფოთლის მასის 25%
მდგრადობის მაჩვენებელი	აკონტროლეთ მდგრადობის მაჩვენებლები, როგორიცაა მცენარეთა პოპულაციების სიმჭიდროვე ან რეგენერაციის სტატუსი.	150 მცენარე ჰექტარზე
რეგენერაციის სტატუსი	მცენარის რეგენერაციის უნარი (მაგალითად, ახალი ყლორტები).	ახალი ყლორტები შეიმჩნევა მცენარეების 10%-ში.
მცენარის განვითარების სტადია კრეფისას	მცენარის განვითარების ეტაპი კრეფის დროს გადამეტებული კრეფის თავიდან ასაცილებლად..	ყვავილობის ადრეული ეტაპი
ამინდის პირობები	ამინდის პირობები კრეფის მომენტისათვის (ტემპერატურა, წვიმა, ქარი).	20°C, მოწმენდილი ცა
ვინ დაკრიფა (სახელი და გვარი)	კრეფის პროცესში ჩართული პირები ან ჯგუფები.	ნინო გ და გიორგი კ

შემდგომი ღონისძიებები	რეგულაციისთვის, გადარგვისთვის ან მონიტორინგისთვის დაგეგმილი ღონისძიებები.	ტერიტორიის მონიტორინგი 3 თვეში ერთხელ
დოკუმენტაციის თარიღის განხილვა	მონაცემთა განხილვის თარიღის განსაზღვრა და მდგრადი პრაქტიკების უზრუნველყოფა.	15/06/2024

დასახელება:	საველე ვიზიტი 1	საველე ვიზიტი 2	საველე ვიზიტი 3
ადგილმდებარეობა			
კრეფის თარიღი და დრო			
მცენარეთა სახეობები			
მცენარის რა ნაწილები დაიკრიფა			
დაკრეფილი მცენარის რაოდენობა (კგ)			
ამინდი			
შეგროვების ინტენსივობა (%)			
მცენარეთა პოპულაციის მდგომარეობა (შკალა 1 - 5) (1 - ყველაზე დაბალი, 5 - ყველაზე მაღალი)			

დანართი 2: საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი ველური მცენარეების ქართული, ინგლისური და ლათინური დასახელებები

ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	ინგლისური დასახელება
ასკილი	<i>Rosa Canina</i>	Rose Hip
ნეგო (უკვდავა)	<i>Helichrysum plicatum</i> <i>subsp. polyphyllum</i>	Dwarf Everlast
მაღალი მოცვი	<i>Vaccinium</i> <i>arctostaphylos</i>	Caucasian whortleberry
მთის მოცვი	<i>Vaccinium myrtillus</i>	Common Bilberry
ქაცვი	<i>Hippophae rhamnoides</i>	Sea Buckthorn
ევკალიპტი	<i>Eucalyptus viminalis</i>	Eucalyptus
ხარიშუბლა	<i>Caucasalia pontica</i>	Caucasalia pontica
კოწახური	<i>Berberis vulgaris</i>	Barberry
ბაღის ქონდარი	<i>Satureja hortensis</i>	Savory
თუთუბო (სუმახი)	<i>Rhus coriaria</i>	Sumac
ომბალო	<i>Mentha pulegium</i>	Pennyroyal
როზმარინი	<i>Rosmarinus officinalis</i>	Rosemary
ორეგანო	<i>Origanum vulgare</i>	Oregano
დაფნა	<i>Laurus nobilis</i>	Bay Laurel

ბიბლიოგრაფია

ველური მცენარეების მდგრადი შეგროვების საუკეთესო პრაქტიკის განხორციელების მხარდასაჭერად ქვემოთ მოცემული სარეკომენდაციო დოკუმენტები უზრუნველყოფს მნიშვნელოვან სახელმძღვანელო წესებს, სტანდარტებსა და სტრატეგიებს. აღნიშნული რესურსები სიღრმისეულად განიხილავს კონსერვაციის ღონისძიებებს, სამართლებრივ ჩარჩოებს და პრაქტიკულ მიდგომებს, რაც მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ბალანსის შესანარჩუნებლად და ველური მცენარეების გრძელვადიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ჩამოთვლილი დოკუმენტები წარმოადგენს მდგრადი შეგროვების პრინციპების ეფექტურად გაცნობიერებისა და გამოყენების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს:

ALCP2 (2022) ველური მცენარეების ბაზრის კვლევა. მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა 2. www.alcp.ge

ALCP2 (2022) ველური მცენარეების ფოკუს ჯგუფის კვლევის აწყარიში. მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა 2. www.alcp.ge

კავკასიერტი. (2022). კავკასიერტი ორგანული პროდუქტების სტანდარტი. კავკასიერტი. იორგანული პროდუქტების სტანდარტების სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს ველური მცენარეების მდგრადი შეგროვების პრაქტიკას.

FairWild-ის ფონდი (2021). FairWild-ის სტანდარტები. FairWild-ის ფონდი. ველური მცენარეების მდგრადი შეგროვების საერთაშორისო სახელმძღვანელო კონსერვაციასა და ეკოლოგიურ ბალანსზე ფოკუსირებით.

სამკურნალო და არომატული ველური მცენარეების მდგრადი შეგროვების საერთაშორისო სტანდარტი

(ISSC-MAP) (2016). ISSC-MAP-ის პრინციპები და კრიტერიუმები. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი (ITC). სამკურნალო და არომატული მცენარეების მდგრადი შეგროვების სახელმძღვანელო წესები და სტანდარტები კონსერვაციაზე, რესურსების მართვასა და გარემოზე მავნე ზემოქმედების პრევენციაზე ფოკუსირებით.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა (ADC). (n.d.) ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი განვითარების სახელმძღვანელო (NTFP) საქართველოსთვის. (2023).

ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (IUCN). (2024). IUCN-ის საფრთხეში მყოფი სახეობების წითელი ნუსხა. ინფორმაცია მცენარეთა სახეობების კონსერვაციის სტატუსზე, რაც უზრუნველყოფს მდგრადი შეგროვების პრაქტიკის პრიორიტეტების განსაზღვრას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (2022). ველური მცენარეების შეგროვების შესახებ ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. ველური მცენარეების შეგროვების მართვის სამართლებრივი რეგულაციები საქართველოში და შესაბამის ადგილობრივ ტერიტორიებზე.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). (2020). კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის სახელმძღვანელო. FAO. სოფლის მეურნეობის მეთოდების ცვლადი კლიმატური პირობებისადმი ადაპტირების პრაქტიკა და სტრატეგიები.

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP). (2019). ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი შეგროვების პრაქტიკა UNEP. ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი შეგროვების ტექნიკა და სახელმძღვანელო წესები.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია (CBD). (2022). ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმები. CBD. მცენარეთა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ჯანსაღი ეკოსისტემის მხარდაჭერის გეგმები და სტრატეგიები.

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავებულია კავკასიის ალიანსების პროგრამა 2-ის (ALCP2) ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (ADC) და შვედეთის ერთობლივ პროექტს, განმახორციელებელი - მერსი ქორფს საქართველო.

დოკუმენტში გამოხატული შეხედულებები შესაძლოა არ ასახავდეს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (ADC) და შვედეთის ან მერსი ქორფს საქართველოს შეხედულებებს.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

With funding from

Austrian
Development
Cooperation



